

ქლაბ შოუს წევრების გრანსპორტირებისათვის,
თანხის გამოყოფის შესახებ

მ/წლის 4 ივნისს, ქუთაისის ფესტივალის ფარგლებში ქლაბ შოუს წევრებს ესაჭიროებათ გრანსპორტირება. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია ქ.ქუთაისის 2012 წლის ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის, გრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებიდან გამოიყოს თანხა – 750 ლარი.

„აღვიწრობის თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 22 დეკემბრის N143 დადგენილების N3-8 დანართით დამტკიცებული ქ.ქუთაისის 2012 წლის ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ.ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /თ.თოფურიძე/ მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის /კ.რაგინი/ მიერ მომზადებული 2012 წლის 8.02 N99 ხელშეკრულების, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს თანხის გადარიცხვისათვის საჭირო საბუღალტრო დოკუმენტების გაფორმება და მერიის საფინანსო სამსახურში წარდგენა.

2. ქ.ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურმა /თ.ცაგარეიშვილი/ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 2012 წლის ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების მუხლის გრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის /გაუთვალისწინებელი ღონისძიებების გრანსპორტირების ხარჯი/ ხარჯებიდან უზრუნველყოს გრანსპორტირების თანხის – 750 /შვიდას ორმოცდაათი/ ლარის გადარიცხვა შპს „გრანსპორტი 2008-ის“ /დირექტორი თენგიზ ლომიძე/ ანგარიშზე /ხარჯთაღრიცხვა ერთვის/.

3. ქ.ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა /თ.ცამციშვილი/ განახორციელოს გამოყოფილი თანხის განკარგვის ორგანიზება და კონტროლი, მოქმედი კანონმდებლობით, დადგენილი წესით.

4. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ნ.კაჭკაჭიშვილმა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია

ქ.ქუთაისის მერის 2012წ.

N ბრძანების
დანართი

ქლაბ შოუს წევრების გრანსპორტირებისათვის,

საჯირო თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ

გრანსპორტირების ხარჯი /1 მიკროავტობუსი/
ქუთაისი-თბილისი-ქუთაისი – 750 ლარი

სულ: 750 ლარი

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია